

**სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ანტიდემპინგური ღონისძიებების დეპარტამენტის დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) ანტიდემპინგური ღონისძიებების დეპარტამენტის (შემდგომში - „დეპარტამენტი“) დებულება (შემდგომში - „დებულება“) განსაზღვრავს დეპარტამენტის სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. დეპარტამენტი არის სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფი.

3. დეპარტამენტი თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სააგენტოს.

4. დეპარტამენტის თანამშრომლებს (შემდგომში „თანამშრომელი“) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე.

5. დეპარტამენტის საქმიანობის საერთო ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სააგენტოს თავმჯდომარე ან/და მის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე (შემდგომში - კურატორი მოადგილე).

**მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი**

დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონი, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, სააგენტოს დებულება, ეს დებულება, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

**მუხლი 3. დეპარტამენტის ფუნქციები**

**დეპარტამენტის ფუნქციებია:**

ა) სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღების ან ასეთი ტარიფის შემოღების მიზანშეუწონლობის დადგენის მიზნით შესწავლის დაწყების მიზნობრიობის შეფასება, შესწავლის წარმოება, შესაბამისი დასკვნის შემუშავება და ამ დასკვნის საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად მომზადება;

ბ) სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის გადახედვის ან გაუქმების მიზნით შესწავლის წარმოება, შესაბამისი დასკვნის შემუშავება და ამ დასკვნის საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად მომზადება;

გ) წინასწარი ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ წინასწარი დასკვნის შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად მომზადება;

დ) ადმინისტრაციული ორგანოებისგან, დაინტერესებული პირებისა და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შესწავლის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა;

ე) ექსპორტიორის მიერ წერილობითი ფორმით აღებული ნებაყოფლობითი ვალდებულების განხილვა, შესაბამისი წინასწარი დასკვნის შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად მომზადება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოში შესული წერილების, განცხადებების, საჩივრებისა და სხვა კორესპონდენციის განხილვა; მათზე შესაბამისი რეაგირება და საპასუხო კორესპონდენციის მომზადება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, საქმის მომზადება სასამართლო დავების განხილვისათვის და სასამართლოში სააგენტოს წარმომადგენლობა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, მათ შორის, ინსტრუქციების, პროცედურული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების პროექტების მომზადება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, ანტიდემპინგური კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო განმარტებების პროექტების მომზადება ან/და კონსულტაციების გაწევა;

კ) ანტიდემპინგთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო პრაქტიკის, სასამართლოს გადაწყვეტილებების მოძიება, დამუშავება და შესაბამისი ანალიზის მომზადება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს წლიური ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეობა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში, დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადება და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისათვის მიწოდება;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა;

ო) „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით და სააგენტოს დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

პ) სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ჟ) სააგენტოს თავმჯდომარის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება;

#### **მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა**

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია სააგენტოს თავმჯდომარისა და კურატორი მოადგილის წინაშე.

2. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე. მოადგილე ანგარიშვალდებულია სააგენტოს თავმჯდომარის, კურატორი მოადგილისა და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

3. დეპარტამენტის უფროსი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახორციელებს დეპარტამენტის საქმიანობის მართვას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს და მოქმედებს დეპარტამენტის სახელით;

გ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის, სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებას;

დ) წარმოადგენს დეპარტამენტს მინიჭებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ვ) ანაწილებს მოვალეობებს თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ზ) აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

თ) აკონტროლებს თანამშრომლების მიერ სააგენტოს შინაგანაწესის დაცვას;

ი) ვიზას ადებს და ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს;

კ) მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარეს წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე;

ლ) სააგენტოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს თანამშრომელთა წახალისების, მათი დაწინაურების ან სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში გადაყვანის თაობაზე;

მ) შუამდგომლობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;

ნ) ასრულებს სააგენტოს თავმჯდომარის სხვა დავალებებს;

ო) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

4. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე, ხოლო მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარის მიერ შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული პირი.